41	ხამისქური	ხამისქური, საკუკავო, საქირიო	44375.00	საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები	სოფელ ხამისქურის 14899.00 ლარი, სოფელ საკუკავოს 13874.00 ლარი და სოფელ საქირიოს 15602 ლარი (სულ 44375.00 ლარი) გაერთიანდა აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად.
42	ხეთა	ლარჩვა, ხეთა, ოხვამეკარი, წინაგოლა, ნოჩხონი	65000.00	საბავშვო ბაღის სახურავის რემონტი	სოფელ ლარჩვის 27072.00 ლარი, სოფელ ხეთის 8361.00 ლარი, სოფელ ოხვამეკარის 8660.00 ლარი, სოფელ წინაგოლის 7220.00 ლარი და სოფელ ნოჩხონის 13687.00 ლარი (სულ 65000.00 ლარი) გაერთიანდა აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად
43		ხეთა	4715.00	შიდა სასოფლო ხრემოვანი გზის ორმული შეკეთების სამუშაოები	
44		ოხვამეკარი	5500.00	წყალსადენი (სასმელი წყლის) სისტემის სარემონტო	
45		წინაგოლა	8000.00	სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები	
46		ნოჩხონი	5000.00	შიდა სასოფლო ხრემოვანი გზის ორმული შეკეთების სამუშაოები	



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N28
2015 წლის 29 ივნისი
ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების აუქციონის წესით პრივატიზებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 115-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 34-ე და 35-ე მუხლების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების აუქციონის წესით პრივატიზებაზე, თანახმად დანართისა.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა

საპრივატიზებო ქონების მონაცემები

□	დასახელება	მარკა	გამოშვების წელი	ფერი	საწყისი საბალანსო ღირებულება	დარიცხული ცვეთა	ნარჩენი ღირებულება	აუდიტორიული შეფასება	ბე	ბიჯი
1	მიკრო ავტობუსი	FORD TRANZIT BUS	1991	თეთრი	9740	9740	0	500	10	20

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N29

2015 წლის 29 ივნისი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების მოვლისა და სხვლა-ფორმირების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეროვნული სატყეო პროგრამის (NFP) ფარგლებში მომზადებული ინსტრუქციის საფუძველზე ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების მოვლისა და სხვლა-ფორმირების წესი თანახმად დანართისა.

2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას (გ. ქაჯაია) უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის შესრულება.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (ქ. ფოთი დავით აღმაშენებლის ქ. N3)

საკრებულოს თავმჯდომარე

ე. ჯობავა

ხეების მოვლისა და სხვლა-ფორმირების წესი

1. ხის მოვლისა და დაცვის მიზანი

ხეები წარმოადგენს ცოცხალ ორგანიზმებს, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა. ხეების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასახლებული პუნქტებისათვის (ქალაქები, ადმინისტრაციული ცენტრები და სხვა). ხშირად ხეები გაშენებულია ისეთ ადგილებში, სადაც მათ ფესვების განვითარების შესაძლებლობა შეზღუდული აქვთ. მიწის ზედაპირის მოასფალტების, მოპირკეთებითი სამუშაოების და ნიადაგზე სხვადასხვა მავნე ნივთიერებების (გამონაბოლქვი, მტვერი და სხვა) დალექვის გამო ისინი ითვისებენ მავნე ნივთიერებებს, შედეგად მათი ვარჯი მექანიკურად ზიანდება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათ ესტეტიურ მდგომარეობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფესვები და ხის ვარჯი ხშირ შემთხვევაში მოუვლელია, მაშინ როდესაც, ისინი უნდა გამოიყურებოდნენ ესთეტიურად, მყარად და უნდა იყვნენ გადატყდომისაგან დაზღვეული. ხეები უნდა ასრულებდნენ მათ უმთავრეს ფუნქციებს, როგორცაა ჩრდილის შექმნა, ჟანგბადის წარმოება და მტვრის ნაწილაკების შთანთქმა, ხმაურის დახშობა და სხვა. აღნიშნული ფუნქციების სრულყოფილად და ხანგრძლივად შესრულება მხოლოდ ჯანსაღ და ძლიერ ხეებს შეუძლია. ხის სიძლიერე და სიცოცხლისუნარიანობა უმეტესად დამოკიდებულია მიწისზედა და მიწისქვეშა ნაწილის აქტიურობასა და განვითარებაზე. ეს კი დამოკიდებულია ნიადაგში საკმარისი ჰაერის შემცველობაზე, ნიადაგის ტენიანობაზე და შესაბამისი რაოდენობის მინერალებით მომარაგებაზე. გზების გასწვრივ დარგული ხეები ხშირ შემთხვევაში საშიშროების ქვეშ იმყოფებიან, მათ გარშემო ასფალტის ან ბეტონის ფენით ნიადაგის გადაფარვა და ვარჯის არასწორი ფორმირება, ნეგატიურ გავლენას ახდენს ხის სიჯანსაღესა და სიცოცხლისუნარიანობაზე.

2. მიზანი და ამოცანები

ხეების მოვლისა და სხვლა-ფორმირების წესების შემუშავების მიზანია საქართველოს ქალაქში, მათ შორის სატრანსპორტო მონაკვეთებში არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება და მათი სიცოცხლისუნარიანობის ამაღლება, ეს კი შესაძლებელი გახდება ნარგავებისათვის შესაბამისი, დაცული გარემო პირობების შექმნით, ასევე მათ მიმართ მზრუნველობითა და საჭირო მოვლის ღონისძიებების პროფესიონალურად ჩატარებით.

3. მოსამზადებელი სამუშაოები

1. ხის მოვლის ღონისძიებების გეგმის შესადგენად, წინასწარი შესწავლა ნიშნავს ისეთი ღონისძიებების განსაზღვრას, რომელთა შედეგად მიღწეული იქნება სასურველი შედეგი.

2. გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

ა) ხის სპეციფიური მონაცემების გათვლა-გაანგარიშებას;

ბ) ხის დაზიანებული ნაწილების (ფულურო, გამხმარი ტოტები, სხვადასხვა უარყოფითი ზემოქმედებით მიყენებული ზიანი. მაგ: სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანი) ადგილების აღრიცხვას.

- გ) სატრანსპორტო მიმოსვლისაგან ხის საარსებო გარემოს დაცვის ღონისძიებებს;
- დ) ხის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, მოვლის ღონისძიებების განსაზღვრას;
- ე) ხის მოვლის კონცეფციის შემუშავება;
- ვ) შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემებით საჭირო გაანგარიშების წარმოება.
- ზ) მონიტორინგის ჩატარების და პერიოდულობის განსაზღვრას.

3. შეგროვებული მონაცემების დოკუმენტალურად გაფორმება წარმოებს შესაბამის სააღრიცხვო რეესტრში (კატალოგში).

4. მოვლის საჭიროება

ხის მოვლის ღონისძიებები წარმოადგენს ბუნებრივი ზრდის პროცესში ხელოვნურ ჩარევას. მოვლის ღონისძიებების მაქსიმალურად შეზღუდვის უზრუნველსაყოფად გარკვეული პერიოდულობით აუცილებელია ხეების მდგომარეობის მონიტორინგი, რათა დადგინდეს, არის თუ არა საჭირო განსაზღვრული ღონისძიების ჩატარება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება ღონისძიების ჩატარების პერიოდი. აღნიშნული პროცედურა წარმოადგენს პროფესიონალური და კვალიფიციური შეფასების წინაპირობას. გასხვლა- ფორმირების ღონისძიებები, რომლებიც ხის ვარჯის სასურველი ფორმით ზრდა-განვითარებას ემსახურება, სასურველია ადრეულ ეტაპზე და დროულად განხორციელდეს.


5. ვარჯის ფორმირება

1. ხის ვარჯის ფორმირებისათვის ჩატარებული ღონისძიებები ემსახურება ხის სასურველი ფორმით ზრდა-განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს მას იყოს ძლიერი, ჯანსაღი და დაცული სხვადასხვა უარყოფითი ზემოქმედებისაგან (მაგ: სატრანსპორტო საშუალებები და სხვა). საჭირო ღონისძიებები, რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე უნდა ჩატარდეს, რომ ტოტების შეჭრის ადგილები მაქსიმალურად მცირე იყოს. ვინაიდან აცილებულ იქნას გასხვლა-ფორმირებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა (როგორცაა სოკოვანი დაავადებები და სხვა).

2. წვრილი და სუსტი ტოტების შეჭრა ხდება ხელის ხერხით ან/და ტოტების საჭრელი მაკრატლით. ხერხით ხის ტოტების დამოკლება ძირითადად სამ ეტაპად ხორციელდება.

- ა) 1-ლი ეტაპი: ჭრა ხორციელდება ხის ტოტის ქვედა მხრიდან, ტოტის სისქის დაახლოებით 1/4 სიღრმეზე;
- ბ) მე-2 ეტაპი - ხის ტოტის შეჭრა ხდება ზედა მხრიდან 3-5 სმ - ის დაცილებით;
- გ) მე-3 ეტაპი: - ღონისძიება ტარდება ხის ტოტის შეერთების ადგილის, რგოლის გასწვრივ.


სურათი 1



ხის ტოტის შეჭრის (შემოკლების) მიმდევრობის გამოსახულება

3. ხის ტოტების გასხლვის სამუშაოების ჩასატარებლად, უნდა შეფასდეს მისი უახლოესი განშტოება, რომელიც გასასხლავი ტოტის დიამეტრს სამჯერ უნდა აღემატებოდეს.


სურათი 2



4. მსხვილი ან/და ძლიერი ტოტების მოჭრა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები. აღნიშნული გულისხმობს ღონიძიების ჩატარებას იმ სახეობებში, რომელთა რაოდენობაც თანდათანობით მცირდება, მაგალითად: წაბლი (*Castanea*), არყი (*Betula*), ალვის (*Populus*) და ტირიფის (*Salix*) ხეები. აღნიშნული ღონისძიება დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ მსხვილი ან/და ძლიერი ტოტების მოჭრით თავიდან იქნება აცილებული ხის დაზიანება (მაგ: ხის გადატეხვა, გასკდომა და სხვა). აღნიშნული ჭრები ისე უნდა შესრულდეს, რომ ტოტის ხის ღერძთან შეერთების ან/და დასაცავი ადგილი შენარჩუნებული იყოს, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს დაზიანებული ადგილის კარგად შეხორცება-აღდგენა (ხე დაზიანებულ ადგილას ბუნებრივად წარმოქმნის ფენას, რომელიც ჭრილობას დაფარავს). იმ შემთხვევაში თუ ტოტის მოჭრის შემდეგ ნახაზზე მითითებულ ადგილას არ იქნება დატოვებული პატარა ნარჩენი, მაშინ ჭრილობის სამკურნალო საშუალებებზე შეიძლება უარი ითქვას.


გამოსახულება: ჭრის შესრულება, ტოტის ხის ღერძთან შეერთების ადგილის არსებობის შემთხვევაში.

სურათი 3



გამოსახულება: ჭრის შესრულება, შეუმჩნეველია ტოტის ხის ღეროსთან შეერთების ადგილი.

სურათი 4




6. ჭრის ფორმები ვარჯის ფორმირებისთვის

1. ტოტები, რაც შეიძლება ადრეულ ასაკში უნდა გაისხლას, რათა შესაძლებელი გახდეს ვარჯის სტაბილური განვითარება. ამასთანავე რეკომენდირებულია, გადახლართული, გადატეხილი ტოტების ან ერთმანეთთან მჭიდროდ მიკრული ტოტების მოცილება ან/და მოჭრა ერთი ტოტის დატოვებით.

2. პროფილური ჭრა - განათების გაუმჯობესების მიზნით - ამ მეთოდით ხის სხვა ადრეული ხნოვანებიდან იწყება. ასეთი ჭრები უნდა ჩატარდეს ყოველ 2-3 წელიწადში ერთხელ. ხეებისთვის საჭირო განათების მისაღებად ჭრები თანდათან უნდა განხორციელდეს. აღნიშნული ჭრები უნდა შესრულდეს რამოდენიმე წელზე გადანაწილებით. ხეებს, რომლებიც გზების გასწვრივ არის დარგული, უნდა შეუნარჩუნდეს ვარჯის სიდიდის მინიმუმ ნახევარი. დიდხნოვანი ხეებისათვის საჭირო განათების მიღების უზრუნველსაყოფად საჭიროა ჩატარდეს ინტენსიური ჭრა სუსტი და უხეში ტოტების მოსაცილებლად. ძლიერი ტოტების მთლიანი მოშორება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დაშვებული. სატრანსპორტო და საფეხმავლო ქუჩების გასწვრივ დარგული ხეების სხვა-ფორმირება ტარდება იმგვარად, რომ დაცული იყოს როგორც სატრანსპორტო საშუალების ისე ფეხითმოსიარულეთა უსაფრთხოება. შესაბამისად სამანქანე გზის სავალი ნაწილის მხარეს, ადრეული ასაკიდანვე ხდება ხის ქვედა ტოტების გასხვა 4,50 მეტრის სიმაღლეზე, ხოლო საფეხმავლო ზონის მიმართულებით 2,50 მეტრის სიმაღლეზე.

გამოსახულება: ქუჩის პირობებში ხეების განათებით უზრუნველყოფისა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოებისათვის რეკომენდირებული სინათლის ადგილის პროფილი.




სურათი 5

3. სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ხეები უნდა გაიწმინდოს ხმელი და გადატეხილი, წვრილი ზომის (დიამეტრი 3 სმ) ტოტებისაგან.

გამოსახულება: ჭრის შესრულება მკვდარი/გამხმარი ტოტების მოსაცილებლად.

სურათი 6



7. ხის ვარჯის მოვლა

ხის ვარჯის მოვლა გულისხმობს ხეების გადახლართული, მოტეხილი ტოტების ან ისეთი ტოტებისაგან გაწმენდას, რომლებიც ერთმანეთს მჭიდროდ ეკვრის, (როგორც 3.2.1-შია აღწერილი), აგრეთვე ხმელი ტოტების მოცილებას (როგორც 3.2.3-შია აღწერილი) და შეჭრას, ხის ვარჯისათვის საჭირო განათების უზრუნველსაყოფად (როგორც 3.2.2 -შია აღწერილი).

8. ხის ვარჯის ფორმირება საჭირო განათების მიღების უზრუნველსაყოფად


ხის ვარჯის საჭირო განათებით უზრუნველყოფის მიზნით ხის ფორმირება ხდება უმეტესად ტოტების შეჭრით გარეთა მხრიდან - წვეროსაკენ. ხის გარშემოწერილობის მიხედვით არჩევენ წვრილი და მსხვილი ტოტების სუსტ (5 %), საშუალო (10%) და ძლიერ (15 %) გამოხშირვას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულმა ღონისძიებამ არ გამოიწვიოს ხის დაზიანება ან/და მისი ფორმისა და იერსახის მნიშვნელოვანი ცვლილება.

9. ხის წანაზარდები

ხის ღროსა და განშტოებებზე წარმოქმნილი ან/და არსებული წანაზარდები უნდა მოცილდეს ბრტყლად, მთელ დიამეტრზე.

გამოსახულება: ჭრათა თანმიმდევრობა ზედმეტი წანაზარდების მოსაცილებლად.

სურათი 7



10. განსაკუთრებული ღონისძიებები

ვარჯის ნაწილის, ან მთლიანი ვარჯის ძლიერ დამოკლება მნიშვნელოვნად ცვლის ხის საერთო გარეგნულ იერსახეს. მისი ასიმილაციის (საკვები ნივთიერების და ენერჯის მიმოქცევა) ფართობი ძლიერ მცირდება. სქელი და ძლიერი ტოტების ჭრის გამო, იქმნება ხის გულის სიდამპლის განვითარების საშიშროება, რის შედეგადაც ხე სუსტდება და მცირდება მისი სიცოცხლისუნარიანობა.

11. გადაბელვა

გადაბელვა ნიშნავს ხის მთლიან ვარჯზე, ან მის ნაწილზე ძლიერი ტოტების შემოკლებას ან მთლიანად მოშორებას (განშტოებების გადაბელვა). იმ შემთხვევაში თუ ვარჯი მთლიანად იჭრება, ისე რომ მხოლოდ ხის ღერო რჩება ღეროს გადაბელვა ეწოდება.

თუმცა ასეთ ღონისძიებას მოჰყვება ნეგატიური შედეგები, როგორცაა საკვები ნივთიერებების (გადაბელვის ადგილებში წყდება საკვები მინერალებით მომარაგება და ზრდა. ხის ვარჯის ასეთი ადგილები კვდება და იწყება ლპობის პროცესი, ირღვევა წონასწორობა ფესვებსა და ვარჯს შორის) უკმარისობა და ფესვთა სისტემის კვდომა. ეს ორივე ფაქტორი გამოწვეულია სოკოვანი ინფექციით, რომელსაც ხის სტრუქტურის ნეგატიური შეცვლა შეუძლია. მოსალოდნელია ხის გადატეხვის საშიშროების ზრდა და მისი მდგრადობის შემცირება. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჭირო ხდება მისი ნაადრევი მოჭრა. ამის გამო, გამონაკლისი შემთხვევების დაუშვებელია ხის ღეროს გადაბეღვა.

12. ვარჯის შემადგენელი შიდა ტოტების გასხლვა

დაზიანებული ტოტები ან/და ხის ვარჯის ნაწილი, სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვით და ხის საარსებო გარემოს შესაბამისად უნდა დამოკლდეს. ვარჯის დაუზიანებელი ნაწილი კი შემოკლებულ ნაწილთან შეფარდებით უნდა შეიჭრას ან გამოიხშიროს (მცენარისათვის საჭირო განათების მისაღებად). ტოტის გასხლვა იმ ადგილას ხორციელდება სადაც, გასასხლავი ტოტის დიამეტრი შეადგენს დასატოვებელი ტოტის 1/3-ს.

13. ძლიერ გასხლული ხეების რეაბილიტაცია


1. ხის მთლიანი ვარჯი სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოებიდან და ხის საარსებო გარემოდან გამომდინარე, უნდა შემოკლდეს. შემოკლება დასაშვებია ვარჯის გარშემოწერილობის 20%-ით. ამ ღონისძიების შემდეგ ვარჯმა უნდა შეძლოს შემდგომი განვითარება

2. ვარჯის ჭრა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხეებს, რომლებსაც ძლიერ არიან დაზიანებულნი და საფრთხეს უქმნიან ტრანსპორტის მოძრაობას, უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე საჭიროა შეუმოკლდეს მსხვილი და დაზიანებული ტოტები.

14. გამონაზარდებიანი მოკლედ შეკრეჭილი ხეების შემდგომი მკურნალობა

ახლად ამოზრდილი წანაზარდები მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უნდა განცალკევდეს ან შემოკლდეს. შეჭრა უნდა შესრულდეს უკვე განხორციელებული ჭრის ადგილიდან ზემოთ, მაგრამ არა ღონისძიების ან/და დაზიანების შედეგად გაჩენილი ჭრილობის შეხორცების ადგილას. ე.წ მკურნალობა უნდა ჩატარდეს სისტემატიურად 3-5 წელიწადში ერთხელ. ჭრები ისე უნდა შესრულდეს, რომ წლების მანძილზე შეიქმნას ახალი ვარჯი, რომელიც გვერდითი ტოტებიდან ან სხვა აქამდე მიძინებული კვირტებიდან აღმოცენდება.

15. ხის სქემა



16. ტერმინთა განმარტებები

იზოლირების თვისება	დაზიანების ან/და ლპობის შედეგადაა შექმნილი ხის ადგილებისა და ხოს ჯანმრთელი ქსოვილისგან იზოლირების უჯრედული რეაქცია. იზოლირება
ტოტი	ხის ღეროს ან როკებისაგან გამოსული ნაკლებად გამერქნებული ან სრულიად გაუმერქნებული ხის გვერდთი ყლორტები, ხის ვარჯის შემქმნელი, რომელსაც გამოსხმული აქვს ფოთლები ან წიწვები
უწვრილესი ტოტი	ტოტი, რომლის დიამეტრი 1 სმ-მდეა
წვრილი ტოტი	ტოტი, რომლის დიამეტრი 1-დან 3 სმ-მდეა
სუსტი ტოტი	ტოტი, რომლის დიამეტრი 3-დან 5 სმ-მდეა
უხეში ტოტი	ტოტი, რომლის დიამეტრი 5-დან 10 სმ-მდეა
ძლიერი ტოტი	ტოტი, რომლის დიამეტრი 10 სმ-ზე მეტია
ტოტი, რომელიც ტოტის შემოკლების დროს არ იჭრება	დაქვემდებარებული ტოტი, რომელმაც შემოკლებული ტოტის კვება უნდა უზრუნველყოს
ხის ღეროს და ტოტის ქსოვილის შეერთების ადგილი	ხის ტანისა და ტოტის ქსოვილის შეერთების შესამჩნევად შესქელებული ადგილი
ხის კონტროლი/შესწავლა	ხის ვიზუალური შემოწმება შესაძლო დაზიანებებზე და სიცოცხლისუნარიანობაზე
ხის მოვლა	ღონისძიებები, რომლებიც ხეზე და ხის საარსებო გარემოზე ტარდება ხის სიცოცხლისუნარიანობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად და ხის არასწორი განვითარების თავიდან ასაცილებლად.
ხის საარსებო გარემო	გარემოებანი ხის ირგვლივ, რომლებიც ხის განვითარებაზე გავლენას ახდენენ.
ხის საარსებო გარემოს გაუმჯობესება	გარემოებების გაუმჯობესება, რომლებიც ხის სიცოცხლისუნარიანობაზე და ზრდაზე გავლენას ახდენს
ხის ქერქი	ხის მერქნის გარეგანი მკვდარი/გამხმარი უხეში ფარფლისებრი ფენა
მოტეხვის უსაფრთხოება	თოვლისა და ქარის გამო ხის გვირგვინისა და ხის ტანის გადატეხვის წინააღმდეგობის გაწევისუნარიანობა
განშტოება	ტოტის ორ ან რამდენიმე ნაწილად განშტოება

ხის ვარჯი (საბურველი ან ვარჯი)	გარეგნული სახე ხის ვარჯისა (მისი ფორმა)
ხის რეაქცია	ხის რომელიმე ნაწილის დამატებითი ზრდა-გასქელება; პროცესი, როგორც რეაქცია გაწევაზე ან ზეწოლაზე
ხის ჭრილობის ნაწილი („კალუს“)	ჭრილობის გარეგანი ნაწილი, რომელიც გაკრვეულ პირობებში მთლიანად ხორცდება
ქსოვილი ხესა და მერქანს შორის („კამბიუმის შრე“)	გაყოფისუნარიანი ქსოვილი ხესა და მერქანს შორის
საკომპენსაციო ზრდა	ხეთა თვისება ხის ქსოვილებში სუსტი ადგილების გათანაბრება ამ ადგილებში სწრაფი ზრდით
ბურთისებრი ვარჯის მქონე ხე	ხის გვირგვინის განსხვავებული (თავისი ფორმის მსგავსი) ფორმა, რომელიც იქმნება ხის ჩონჩხზე ცენტრალური ღერძის - ტოტის ხშირი შემოკლებისას
ვარჯი	ხის ნაწილი ხის ტანის (შტამის) ზემოთ
ფულუროსებრი გვირგვინი	ტიტასფორმისებრი გვირგვინი, შიგნით ცარიელი
მეორადი (სეკუნდარული) გვირგვინი	ახალი გვირგვინი, რომელიც ხის შიდა ტოტების არეში განვითარდა, მაგალითად, რომელიმე ძლიერი ჭრის ღონისძიების შესრულების შედეგად
საბურველის/ვარჯის - ქვედა ნაწილი	ვარჯის/საბურველის ქვედა ტოტები
საბურველის/ვარჯის ფუძე	ტოტების წვეროების ქვედა მხარე
ვარჯის ფართობი	განისაზღვრება პროექციული დაფარულობით
ვარჯის სიმაღლე	მანძილი ვარჯის ძირიდან მის წვერომდე
ვარჯის ბირთვი (გული)	გვირგვინის ტოტების შიდა მხარე, რომელიც შედგება სუსტი, ძლიერი ან/და უხეში ტოტებისგან
საბურველის შეკრულობა	ვარჯის მთლიანი გარეგანი ფართობი
ვარჯის ქოლგისებური ფართობი	მიწის ფართობი, რომელსაც ხის ვარჯი ფარავს. ხის პროექცია
ვარჯის ფორმირება	ვარჯის ტოტების შეჭრა დანიშნულების შესაბამისად
ვარჯის ნაწილობრივი შემოკლება	ჭრის ღონისძიებები, რომლებიც ტარდება სატრანსპორტო მიმოსვლის უსაფრთხოების დაცვის ან/და ხის გარშემო მიდამოს უსაფრთხოების დაცვის მიზნით, როდესაც გვირგვინის ნაწილობრივად მოკლდება, საჭიროების მიხედვით, ძლიერი და უხეში ტოტებიც. სხვადასხვა ხის ტიპისათვის დამახასიათებელი გარეგნული სახის მისაღებად, ზოგჯერ საჭიროა შემდგომი მოვლითი ღონისძიებები
ხის სწორად ზრდის მმართველების ჭრა. მისი განვითარების	ჭრის ღონისძიებები, რომლებიც ახალგაზრდა ხეებზე ტარდება მათი გვირგვინების ხის ტიპის მიხედვით

უზრუნველსაყოფად	შესაბამისი ოპტიმალური განვითარებისათვის
გადაბეღვა	ხის გვირგვინის ტოტებისა და შტოების არაპროფესიული ჭრა ისე, რომ ხე განადგურებამდე მიდის და და ფიზიოლოგიური აუცილებლობა არაა გათვალისწინებული
მეტი განათების მისაღწევად ვარჯის ფორმირება	გვირგვინის გამოხშირვა, გათხელება ჯანმრთელი, უმეტესად წვრილი და სუსტი ტოტების მოჭრით ისე, რომ ხის აღნაგობა არ შეიცვალოს
ვარჯის შემოკლება	ჭრის ღონისძიებები, რომლებიც ტარდება ხის გვირგვინზე სატრანსპორტო მიმოსვლის უსაფრთხოების დაცვის ან/და ხის გარშემო მიდამოს უსაფრთხოების დაცვის გამო. საჭიროების მიხედვით, იჭრება ძლიერი და უხეში ტოტებიც
ცენტრალური, ღერძული ტოტი	ხის ცენტრალური, ღერძული ტოტის დაგრძელება
ძლიერი განშტოება, ტოტები	ხის ტანის დაბოლოებიდან ზრდადი, ესეიგი, განშტოებული ძლიერი ტოტები, რომლებიც ხის გვირგვინს ქმნის
ვერტიკალურად ზრდადი ტოტი	ვერტიკალურად ზრდადი ტოტი, რომელიც უმეტესად ჰორიზონტალურად ზრდადი ტოტიდან ან გადაბეღვის შედეგად შექმნილი ადგილიდან ვითარდება
ხის ღერო	ადგილი ხის ყელიდან გვირგვინის დასაწყისწამდე
ფესვის ყელი	ადგილი ხის ფესვებისა და ხის ღეროს დასაწყისამდე
ხის ღეროს სათავე	ხის ტანის სათავე, ადგილი, საიდანაც ხის ტოტები (ან ძლიერი განშტოება) იწყება
უსაფრთხოება	ხის მდგომარეობა, რომლითაც იგი არც მთლიანობაში და არც ნაწილობრივ წინასწარ განსაზღვრად საფრთხეს არ ქმნის
სიცოცხლისუნარიანობა	ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობა, რომელიც მის გარემოზე და გენეტიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული, გამოიხატება შემდეგში: ზრდა, ვარჯის/საბურველის სტრუქტურა და ფოთლით შემოსვა; გარემოსთან შეწყობა-შეთავსების უნარი; დაავადების წინააღმდეგ იმუნურობა თვითაღდგენა. დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც მერქნის მამოდიფიცირებული გამჯღენთი შემადგენლობა თავის თვისებებს ინარჩუნებს.
ფესვები	უმაღლეს მცენარეთა ერთ-ერთი ძირითადი ვეგეტაციური ორგანო, რომლის მტავარი დანიშნულებაა

	მიამგროს მცენარე სუბსტრატზე და იქედან შეიწოვოს წყალი და მასში გახსნილი არაორგანული ნივთიარებები.
უწვრილესი (ფუნჯა) ფესვები	0,1 სმ-ზე ნაკლები სისქის ფესვები, რომლებიც ემსახურება წყლისა და მინერალების აღებას მიწიდან
წვრილი ფესვები	0,1 – 0,5 სმ-ის სისქის ფესვები,
სუსტი ფესვები	0,5 – 2 სმ-ის სისქის ფესვები
უხეში ფესვები	2 – 5 სმ-ის სისქის ფესვები
ძლიერი (ღერძულა) ფესვები	5 – სმ-ზე მეტი სისქის ფესვები,
განშტოება (გვერდითა ფესვები)	ერთი ერთნაირი სიდიდის დიდი და ძლიერი ტოტების განშტოება, რომლებიც U და V ფორმის განშტოებას ქმნის



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N30
2015 წლის 29 ივნისი
ქ. ხობი

კულტურისა და დასვენების პარკისთვის ნუგზარ ნადარაიას სახელის მინიჭების
მიზანშეწონილობის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „პ“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წინადადება ქალაქ ხობის კულტურის სახლის წინ მდებარე კულტურისა და დასვენების პარკისთვის, ხობის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, სპორტულ და საგანმანათლებლო-აღმზრდელობით საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ფაზისის აკადემიის პრეზიდენტის ნუგზარ ნადარაიას სახელის სიცოცხლეშივე მინიჭების თაობაზე.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (ქ. ფოთი დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N31
2015 წლის 29 ივნისი
ქ.ხოზი**

„საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N15 დადგენილებაში ცვლელის შეტანის თაობაზე“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N47 დადგენილების შესაბამისად:

1. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების დანართი N2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის განსაზღვრული საწვავის ხარჯების ლიმიტი

N	მხარჯავი სუბიექტების დასახელება	ლიმიტი თვეში (ლიტრი)		ლიმიტი წელიწადში (ლიტრი)	
		ბენზინი	დიზელი	ბენზინი	დიზელი
1.	გამგებელი	1000	-	12000	-
2.	გამგებლის პირველი მოადგილე	-	300	-	3600
3.	გამგებლის მოადგილე	300	-	3600	-
4.	გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური	200	-	2400	-
5.	გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური	400	-	4800	-
6.	გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური	100	-	1200	-
7.	გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური	-	390	-	4680
8.	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი	-	100	-	1200
9.	გამგებლის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში	50	-	600	-“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს 2015 წლის 1 ივლისიდან.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N32
2015 წლის 29 ივლისი
ქ. ხობი**

ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლოდ გადაცემაზე, თანახმად დანართისა.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა

დანართი
 ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 2015 წლის 29 ივლისის N32 განკარგულებისა

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უსასყიდლოდ გადასაცემი ქონება

N	დასახელება	მდებარეობა	მიწის ფართი კვმ	საკუთრების ფორმა	მესაკუთრე
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	ხეთა	1221	უსასყიდლო	საპატრიარქო



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N33
2015 წლის 29 ივლისი
ქ. ხობი**

**ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
აუქციონის წესით პრივატიზებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-14 მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ხოზის N2 ბაგა-ბადის შენობის კაპიტალური რემონტისა და ხობის კულტურის სახლის სახურავის დემონტაჟის შედეგად დარჩენილი მეორადი მასალა) აუქციონის წესით პრივატიზებაზე, თანახმად დანართისა.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა

დანართი
 ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 2015 წლის 29 ივლისის N33 განკარგულებისა

საპრივატიზებო ქონების მონაცემები

N	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი აუდიტის შეფასებით	საერთო ღირებულება	„ბე“ 10%	„ბიჯი“ 10%
1	იატაკის ფიცარი	კუბ.მ	5	150	750	75	75
2	შავი ლითონის ჯართი	ტონა	4	220	880	88	88
3	ფურცლოვანი თუნუქის ჯართი	ტონა	2,2	180	396	39,6	39,6
4	საშეშე მასალა	კუბ.მ	25	35	875	87,5	87,5



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N34
2015 წლის 29 ივლისი
ქ. ხობი**

**ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების
სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლის პირველი ნაწილისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 14 ივლისის N5/42598 წერილის შესაბამისად:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთვის სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემული ქონება უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს სახელმწიფოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთვის გადასაცემად.
2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ამ განკარგულების პირველი პუნქტის აღსრულებისთვის აუცილებელი პროცედურების განხორციელება.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის N3 განკარგულება.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა

დანართი
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასაცემი ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ნუსხა

N	საქონლის კოდი	ინვენტარის დასახელება	ერთეულის საწყისი ღირებულება	რაოდენობა	ჯამური საწყისი ღირებულება	ჯამური ნარჩენი ღირებულება
1	9*001	კავშირგაბმულობის რაცია (კომპლექტი)	7671,27	1	7671,27	767,1
2	9*002	გასაშლელი კიბე	1600,00	1	1600,00	448
3	9*003	გამდენი სახელური 51 მმ	600,00	1	600,00	168
4	9*004	ლებიოტკის მექანიკური ამწე	1295,66	1	1295,66	362,81
5	9*005	სამაშველო დანა	529,48	1	529,48	148,24
6	9*006	სამაშველო დანა (ბრტყელტუჩა)	543,00	1	543,00	152,04
7	9*007	სამაშველო ჩაფხუტი	525,43	2	1050,86	292,32
8	9*008	მექანიკური გამჭირი	2191,30	1	2191,30	613,6
9	9*009	ნოუთბუქი	1230,00	1	1230,00	0
10	9*010	შემწოვი სახელური 125 მმ	500,00	1	500,00	140
11	9*011	ხელის რადიოსადგური (კომპლექტი)	541,00	2	1082,00	324,6
12	9*012	ელექტრობურდი	684,00	1	684,00	137,8
13	9*013	წყლის ტუმბო	760,00	1	760,00	197,6
14	9*014	ელექტრო გენერატორი	1320,00	1	1320,00	1056
15	9*015	პერსონალური კომპიუტერი	1090,00	1	1090,00	436
16	9*016	საიერიშე კიბე	835,00	1	835,00	584,5
17	9*017	კომპიუტერი პერსონალური (პრინტერით)	1421,90	1	1421,90	853,14
18	9*018	მეგაფონი	180,00	1	180,00	
19	9*020	გადამყვანი 66/77 მმ	47,00	2	94,00	
20	9*021	გადამყვანი 77/51 მმ	47,00	1	47,00	
21	9*022	გადამკეტი ლულა „ბ“	140,00	1	140,00	
22	9*023	საავტომობილო რ/ვ ანტენა	36,00	1	36,00	
23	9*024	უკანა ხიდი რესორებით	50,00	1	50,00	
24	9*025	გადამყვანი ღერძი	40,00	1	40,00	
25	9*026	წინა ხედი	30,00	1	30,00	
26	9*027	წინა საქარე მინა	10,00	1	10,00	
27	9*028	კარები მანქანის	15,00	4	60,00	
28	9*029	ბარი	6,00	2	12,00	

29	9*031	შემწოვი სახელური 77 მმ	438,00	1	438,00	
30	9*033	სახელური 77 მმ	260,00	2	520,00	
31	9*034	ლულა	60,00	2	120,00	
32	9*035	სამკაპი	250,00	1	250,00	
33	9*036	ბენზო ხერხი	200,00	1	200,00	
34	9*037	ბალგარკა საშუალო	150,00	1	150,00	
35	9*039	სამაშველო თოკი	160,00	1	160,00	
36	9*040	საკაცე	200,00	1	200,00	
37	9*041	დენის მრიცხველი	90,00	1	90,00	
38	9*042	ხელის ფანარი	75,00	5	375,00	
39	9*043	სამაშველო თოკი	3,25	100	325,00	
40	9*044	სამედიცინო ჩანთა	35,00	1	35,00	
41	9*045	სამაშველო რგოლი	48,00	1	48,00	
42	9*046	ძალაყინი	21,60	2	43,20	
43	9*047	დიდი ჩაქუჩი	30,00	1	30,00	
44	9*048	ცული	30,00	1	30,00	
45	9*049	ბენზო ხერხი	400,00	1	400,00	
46	9*050	წყალზე სამაშველო ჟილეტი	75,24	2	150,48	
47	9*051	წყალზე სამაშველო ჟილეტი	94,93	1	94,93	
48	9*052	ნაჯახი, დანა, ნიჩაბი	110,60	1	110,60	
49	9*054	სამაშველო ნიჩაბი	91,55	2	183,10	
50	9*055	ჩაფხუტი	265,00	6	1590,00	
51	9*056	ნაჯახი	142,00	4	568,00	
52	9*057	ლულა „ა“	75,00	1	75,00	
53	9*058	ლულა „ბ“	87,00	1	87,00	
54	9*059	ჩაქუჩი	4,00	2	8,00	
55	9*060	სპეციალური ლულა	230,00	1	230,00	
56	9*062	გადამყვანი სახელური	290,00	3	870,00	
57	9*063	ჩანთა	334,35	1	334,35	
58	9*064	თოვზე ჩამოსაკიდი კარაბინი	246,52	1	246,52	
59	9*065	ცუკოდილი	228,99	2	457,98	
60	9*066	სამაშველო დანის კომპლექტი	438,85	2	877,70	
61	9*067	აირწინალი	376,26	2	752,52	
62	9*069	გამდენი სახელური 66 მმ	240,00	2	480,00	
63	9*071	ხელის რადიოსადგურის კომპლექტი	477,00	1	477,00	
64	9*072	საავტომობილო რადიოსადგური	407,00	1	407,00	

		(კომპლექტი)				
65	9*073	აპარატურა ფარსონკა	210,00	1	210,00	
66	9*074	კალონკის ტუმბო	180,00	1	180,00	
67	9*075	გალოვკები	10,00	1	10,00	
68	9*076	სტარტერი	40,00	1	40,00	
69	9*079	პორშინი	15,00	2	30,00	
70	9*081	სამაშველო საკაცე	216,67	3	650,00	
71	9*082	სახანძრო ჩაფხუტი	230,00	6	1380,00	
72	9*083	სამაშველო ჩაფხუტი	220,00	2	440,00	
73	9*084	ცეცხლგამძლე ფორმა	900,00	4	3600,00	
74	9*085	სამაშველო ხელთათმანი	18,00	8	144,00	
75	9*086	სპეციალური სამუშაო ხელთათმანი	4,00	11	44,00	
76	9*087	ლულა 51 მმ	60,00	3	180,00	
77	9*088	ლულა 77 მმ	70,00	3	210,00	
78	9*089	ლულა გამაფრქვეველი	80,00	3	240,00	
79	9*090	ელექტროგადამყვანი	35,00	2	70,00	
80	9*091	წყალგაუმტარი წყალქვეშა ფანარი	315,00	2	630,00	
81	9*092	წყალქვეშა ვიდეო თვალი	260,00	1	260,00	
82	9*093	კაბელი RG213v	6,00	150	900,00	
83	9*094	ანტენა RA	250,00	2	500,00	
84	9*095	კვების ბლოკი sec	265,00	1	265,00	
85	9*096	კონექტორი	5,00	4	20,00	
86	9*097	აკუმულატორი	355,00	1	355,00	
87	9*098	რკინის ღუმელი	150,00	2	300,00	
88	9*100	წყალსაქაჩი (პომპა)	435,00	1	435,00	
89	9*101	წყალსაქაჩი (პომპა)	415,00	1	415,00	
90	9*102	ლულა	150,00	2	300,00	
91	9*103	ლულა 1	165,00	2	330,00	
92	9*104	გამდენი სახელური 51 მმ	220,00	7	1540,00	
93	9*105	გამდენი სახელური 66 მმ	250,00	2	500,00	
94	9*106	გამდენი სახელური 77 მმ	280,00	2	560,00	
95	9*107	შემწოვი სახელური 125 მმ	500,00	1	500,00	
96	9*108	შემწოვი სახელური 77 მმ	300,00	2	600,00	
97	9*109	შემწოვი სახელური 40 მმ	360,00	1	360,00	
98	9*110	გამდენი სახელურის გადამყვანი	10,00	10	100,00	
99	9*111	გამდენი სახელურის გადამყვანი	15,00	5	75,00	
100	9*112	გამდენი სახელურის გადამყვანი	17,00	5	85,00	

101	9*113	სახანძრო საიერიშე ჯოხვიზე	500,00	1	500,00	
102	9*114	წყლის ონკანი	10,00	2	20,00	
103	9*115	ელექტრომაკრატელი	246,00	1	246,00	
104	9*116	ელექტროხელთათმანი	6,00	2	12,00	
105	9*117	ელექტროგამაგრძელებელი	144,00	2	288,00	
106	9*118	ქსეროქსი	390,00	1	390,00	
107	9*119	ციფრული ფოტო აპარატი	251,00	1	251,00	
108	9*121	ელექტროშემდუღებელი „გბტ“	395,00	1	395,00	
109	9*122	მობილური ტელეფონი ნოკია	61,00	3	183,00	
110	9*123	მრავალფუნქციური პრინტერი	400,00	1	400,00	
111	9*125	ელექტრო ღუმელი	50,00	1	50,00	
112	9*126	ტელევიზორი სამსუნგი	384,00	1	384,00	
113	9*127	ფლემშესიერება	22,00	1	22,00	
114	9*128	მაცივარი „ჰაისენსე“	400,00	2	800,00	
115	9*129	ტელეფონის აპარატი	35,00	1	35,00	
116	9*131	ცეცხლგამძლე სპეციალური ჩექმა	400,00	10	4000,00	
117	9*132	საბრძოლო ფორმა	80,00	20	1600,00	
118	9*133	ჩექმა მაღალყელიანი	85,59	3	256,78	
119	9*134	ცეცხლგამძლე ჩექმა	102,54	10	1025,40	
120	9*135	წყალგაუმტარი ლაბადა	70,00	2	140,00	
121	9*137	ჩექმა მაღალყელიანი	36,40	5	182,00	
122	9*138	ადიალა	8,24	37	304,88	
123	9*140	წყალგაუმტარი პლაში	55,00	4	220,00	
124	9*141	ნავის ჩასადები ჩანთა	60,00	1	60,00	
125	9*142	ლეიბი	20,61	37	762,57	
126	9*143	მაღალყელიანი ბათინკა	100,00	51	5100,00	
127	9*144	მეხანძრის ცეცხლგამძლე ჩექმა	200,00	10	2000,00	
128	9*145	ჩექმა მაღალყელიანი	45,00	5	225,00	
129	9*146	საბრძოლო ცეცხლგამძლე ფორმა	900,00	2	1800,00	
130	9*147	ცეცხლმაქრი	90,00	5	450,00	
131	9*148	ელექტროფანარი	90,00	2	180,00	
132	9*149	ქანჩების კომპლექტი	83,00	2	166,00	
133	9*150	ქანჩების კომპლექტი	220,00	2	440,00	
134	9*151	მეტალის ხერხი	24,00	1	24,00	
135	9*152	მაისური	15,00	51	765,00	
136	9*153	ქურთუკი-შარვალი	160,00	51	8160,00	

137	9*154	ქუდი	11,00	51	561,00	
138	9*155	ლაზადა-პლაში	35,00	5	175,00	
139	9*156	რკინის კონსტრუქციის საწოლი	100,00	15	1500,00	
140	9*157	ბალიში სილიკონი	20,00	46	920,00	
141	9*159	ადიალა	15,00	9	135,00	
142	9*160	ლეიზი	30,00	9	270,00	
143	9*161	სეიფი დიდი	21,00	2	42,00	
144	9*162	სეიფი პატარა	15,00	2	30,00	
145	9*163	სეიფი	51,20	1	51,20	
146	9*164	ფარდა	10,00	20	200,00	
147	9*165	მაგიდა	159,71	1	159,71	
148	9*167	კარადა	294,00	2	588,00	
149	9*168	საოფისე სკამი	35,00	5	175,00	
150	9*169	საოფისე მაგიდა მისადგმელი	240,00	2	480,00	
151	9*170	მაგიდა კათედრა (ლურჯი)	131,93	5	659,65	
152	9*171	ავტომანქანა ზილ-130	27300,00	1	27300,00	5187
153	9*171	ავტომანქანა ზილ-131	2028,00	1	2028,00	0
154	9*172	სახანძრო-ავტოცისტერნა კამაზი	212989,00	1	212989,00	174650,98
155	9*173	გასაბერი ნავი	3200,00	1	3200,00	2616,25
156	9*175	ნიჩაბი	25,00	2	50,00	
157	9*176	ავტომანქანა ford ranger	40000,00	1	40000,00	17600
158		ამომწოვი რეზინის შლანგი 77 მმ	300,00	1	300,00	
159		გადამყვანი 51 მმ	70,00	1	70,00	
160		გადამყვანი სახელური 77 მმ	260,00	1	260,00	
161		დამუხტვადი ხელის ფარანი	80,00	4	320,00	
162		თავაკი ჭავლის GPH 70.50	10,00	10	100,00	
163		თავაკი ჭავლის GPH 80.50	15,00	5	75,00	
164		თავაკი ჭავლის GPH 80.50	17,00	5	85,00	
165		მაშველის ჩაფხუტი	250,00	2	500,00	
166		მეხანძრის ჩაფხუტი	230,00	2	460,00	
167		სამედიცინო დახამრების ყუთი	200,00	2	400,00	
168		სახანძრო სახელური 20 მ 51 მმ	220,00	3	660,00	
169		სახანძრო სახელური 20 მ 66 მმ	250,00	2	500,00	
170		სახანძრო სახელური 20 მ 66 მმ	280,00	2	560,00	

171		ტუმბო	400,00	1	400,00	
172		შემწოვი სახელური 40 მმ 8 მ	360,00	1	360,00	
173		წყლის გამაცხელებელი ავჯი	265,00	1	265,00	
174		წყლის ონკანი	35,00	1	35,00	
175		რეტლანსატორი	4810	1	4810	3843,19
176		ლინკი	2500	1	2500	1997,5
177		ხელის რადიოსადგურის კომპლექტი	1650	1	1650	1318,35
178		კომპიუტერის სკამი	151,04	4	604,16	
179		მაისური	12,29	51	626,79	
180		თეთრეულის კომპლექტი	16,38	46	753,48	
181		ადიალა	20,48	46	942,08	
182		მოტო ხერხი	838,98	1	838,98	
183		ელექტრო ბურღი	230,1	1	230,1	
184		ბათინკა	73	51	3723	
185		ქურთუკი-შარვალი ზაფხულის	94,56	51	4822,56	
186		კეპი	8,26	51	421,26	
187		ნაჯახი დიდი	47,79	2	95,58	
188		ნაჯახი პატარა	24,78	3	74,34	
189		ურო პატარა	16,52	2	33,04	
190		ქანჩების კომპლექტი	25,96	2	51,92	
					403854,3318	213895,02



**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N35
2015 წლის 29 ივლისი
ქ. ხობი**

**ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩებისთვის
სახელწოდებათა შეცვლის მიზანშეწონილობის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის, მეორე ნაწილის „პ“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინადადება გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში „წმინდა გიორგის ქუჩისათვის“ სახელის გადარქმევისა და 2015 წლის 13 ივნისს ქალაქ თბილისში ტრაგიკულად დაღუპული „დები ზარანდიების“ სახელის მინიჭებისა და იმავე ადმინისტრაციულ ერთეულში „თბილისის“ ქუჩისთვის სახელის გადარქმევისა და „წმინდა გიორგის სახელის“ მინიჭების თაობაზე.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (ქ. ფოთი დავით აღმაშენებლის ქ. N3)

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N36
2015 წლის 27 აგვისტო
ქ. ხობი**

**საკრებულოს წევრის ლაშა გვასალიას უფლებამოსილების
ვადამდე შეწყვეტის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად:

1. ცნობად იქნეს მიღებული საკრებულოს წევრის ლაშა გვასალიას პირადი განცხადება უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.
2. „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 9 მარტის N15/2012 დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, ეცნობოს N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიას საკრებულოს წევრის ლაშა გვასალიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (ქ. ფოთი დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N37
2015 წლის 27 აგვისტო
ქ. ხობი**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთისა“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის და 106¹ მუხლის მე-4 ნაწილისა და „[საქართველოს სამოქალაქო კოდექსის](#)“ 38-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთისა“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ რეორგანიზაციაზე (შერწყმაზე) და ამ იურიდიულ პირთა შერწყმის შედეგად მათ სამართალმემკვიდრედ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ დაფუძნების თაობაზე.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 9 დეკემბრის N102 განკარგულება;

ბ) „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 27 დეკემბრის N107 განკარგულება.

3. განკარგულება, გარდა განკარგულების მე-2 პუნქტისა ამოქმედდეს გაცნობისთანავე.

4. განკარგულების მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბერს.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება N38
2015 წლის 27 აგვისტო



ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული შენობის მიშენებული ნაწილის დემონტაჟზე თანხმობის მიცემის
შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 115-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებელს აუდიტორული დასკვნის საფუძველზე ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხოზის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის ტერიტორიაზე N6 სასწავლო კორპუსის შენობაზე მიშენებული ორი ნაგებობის დემონტაჟზე მისი აუქციონის წესით პრივატიზების მიზნით.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა

საპრივატიზებო ქონების მონაცემები

დასახელება	ფართობი		საბალანსო ღირებულება		დარიცხული ცვეთა		ნარჩენი ღირებულება		დასაშლელი ნაგებობის აუდიტის შეფასება	დასაშლელად საჭირო სავარაუდო ხარჯი	ნაგებობის საექსპლუატაციო ღირებულება	ბე %	ბიჯი %
	სულ	მათ შორის ნაგებობის	სულ	მათ შორის ნაგებობის	სულ	მათ შორის ნაგებობის	სულ	მათ შორის ნაგებობის					
პროფესიული სწავლების ცენტრის N6 სასწავლო კორპუსი	1521	506	41543	13820	18445	6080	23098	7340	2840	2800	40	4	8

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N39

2015 წლის 27 აგვისტო

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2015 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 ნაწილისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2015 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N102 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა

N	პროგრამის დასახელება	პროგრამის ბიუჯეტი (ლარი)	პროგრამის მოქმედების ვადა	პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	პროგრამის ღირებულება თითოეულ სუბიექტზე (ლარი)
15.	ა(ა) იპ „ხოზის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ უმწეოთა სასადილო, ბინაზე მომსახურება	25601	01.01.2015 - 31.03.2015	120	213,3
16.	უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარების ერთჯერადი კვება და მომსახურება	61285	01.04.2015 - 31.12.2015	120	510,7
17.	სადღესასწაულო დღეებში:	13 650			
	მრავალშვილიანთა დახმარება	12000	01.01.2015 - 31.12.2015	80	150
	არასრულწლოვან ობოლთა დახმარება	750	01.01.2015 - 31.12.2015	5	150
	100 წლის და 100 წელზე მეტი ასაკის	900	01.01.2015 -	6	

	მოქალაქეთა დახმარება		31.12.2015		150
18.	დახმარება ახალშობილთა ოჯახებისთვის	49000	01.01.2015 - 31.12.2015	350	პირველ და მეორე ბავშვზე - 100; მე-3 და მეტი - 300
19.	სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებზე წყლის ხარჯის ანაზღაურება	6000	01.01.2015 - 31.12.2015	100 ოჯახი	1,77
20.	ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	20000	01.01.2015 - 31.12.2015		300-დან 3000-მდე
21.	ერთჯერადი ფულადი დახმარება ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეებისთვის	55000	01.01.2015 - 31.12.2015		60 -200 -მდე
22.	საოპერაციო ხარჯების დაფინანსება	50000	01.01.2015 - 31.12.2015	30-40	წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის 20-50% არაუმეტეს 2000 ლარისა
23.	დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	15600	01.01.2015 - 31.12.2015	13	100
24.	დევენილის დაკრძალვის ხარჯები	3000	01.01.2015 - 31.12.2015	30	100
25.	ომი ვეტერანის დაკრძალვის ხარჯები	3750	01.01.2015 - 31.12.2015	15	250
26.	დახმარება ჩერნობილში მონაწილეთათვის	1700	01.04.2015	17	100
27.	სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57 ათას ქულას და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია) სახლების შესაკეთებლად ერთჯერადი თანხით დახმარება.	40000	01.01.2015 - 31.12.2015	40	500-3000
28.	სამამულო ომის ვეტერანების დახმარება (9 მაისი)	2250	01.05.2015	15	150
	სულ	346836			

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე და გავრცელდეს 2015 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N40
2015 წლის 27 აგვისტო
ქ. ხობი**

**„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის
შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16
ივლისის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის თანახმად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N46 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ნუგზარი შუშანია
2. თენგიზ აბაკელია
3. თემურ გულუა
4. ბეჟანი ქირია
5. მერაბ ფილიპია
6. შადიმან ჭილაია
7. ედიშერ წურწუშია“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N41
2015 წლის 27 აგვისტო
ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის თანახმად:

2. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N47 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ტარიელ ალექსანდრია
2. იგორ გოგოლაძე
3. ვასილ კუკავა
4. როსტევეან გვარამია
5. გენადი ზარანდია
6. კახა ლატარია
7. ჯემალ ნადარაია
8. მალხაზ ლაგვილავა
9. გენადი ქაძანაია
10. მერაბ ნადარაია
11. კახა მიქაბერიძე.“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N42
2015 წლის 9 სექტემბერი
ქ. ხობი**

**ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს -
საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების გურიფულის თემის №66.06
ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2015 წლის 31 ოქტომბერს გასამართ ხობის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი
ღონისძიებების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილების და 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების გურიფულის თემის №66.06 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2015 წლის 31 ოქტომბერს გასამართ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიებისთვის გამოიყოს ქ. ხობში, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა - ქ. ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზი;

2. ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ საარჩევნო უბანში საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განსათავსებლად გამოყენებულ იქნეს ყოფილი კლუბის შენობა (თბილისის ქუჩა N241) და გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ნებისმიერი შენობა-ნაგებობა, გარდა კანონმდებლობით აკრძალულისა.

